# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 383 | კვირა 26 თებერვალი 1906 წ. | გაზეთის № 3013.

# ქურდი

ო. მირბოსი.

ზამთრის ღამე იყო. მე მაგრა მეძინა ჩემ საწოლ ოთახში. უცებ ხმაურობამ გამაღვიძა, თითქო საწოლ ოთახში სკამი წაიქცაო. ამ დროსვე საათმა ოთხი დაჰკრა და ჩემმა კატამაც საცოდავათ დაიკნავლა. მე მაშინვე ჩამოვედი საწოლიდან, საჩქაროდ და გაუფთხილებლად გავაღე კარი და შევედი მაბლობელ ოთახში. ამისთანა სიმამაცე აიხსნება მხოლოდ იმით, რომ მე მტკიცე კონსერვატორი ვარ.

ოთახი ბრწყინვალეთ იყო განათებული. ყველაზე უწინ ჩემი ყურადღება მიიქცია მოხდენილმა, ფრაკში გამოწყობილმა კაცმა, რომელსაც ორდენის ნიშანიც შევამჩნიე. ის აუჩქარებლად ალაგებდა ძვირფას ნივთებს ყვითელ ტყავის საკში. საკი ჩემი არ იყო, მაგრამ ძვირფასი ნივთები კი მე მეკუთვნოდა; ამიტომაც იმისი მოქმედება შეუფერებლად და უზრდელად მეჩვენა და მეც საწინააღმდეგოდ მოვემზადე. პირადათ მე არავითარი ცნობა არა მქონდა ღამის სტუმრისა, მაგრამ რომ დავაკვირდი იმის გარეგნობას, მეცნო; ეს ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელსაც მუდამ შეხვდებით ბულვარში, თეატრებში და ღამის რესტორანებში. როცა ამისთანა ხალხს ხედავ, ძალა უნებურად ამბობ, რომ ეს უთუოდ მაღალი საზოგადოების კაციაო. რომ ვთქვა არ გამიკვირდა-მეთქი დაუპატიჟებელ ფრაკში გამოწყობილ კაცის დანახვა, ეს გაზვიადებული იქნება. ამისთანა სტუმრობის მოვლენა შიშს, ან შრაზსა ჰგვრის ადამიანსა, მე კი გულგრილად შევხვდი, მოდებული არ ვიყავი ამ ამბისთვის· მე უფრო ის მაშინებდა რომ მხეცს და მოუხეშავს ავაზაკს შევხვდები-მეთქი, რადგან მაშინ იძულებული შევიქნებოდი ძალა მეხმარა, თუმცა არავითარი სურვილი იმისი არა მქონდა, რადგან გამარჯვება საეჭვო იყო.

დამინახა თუ არა მოხდენილმა უცნობმა, შეჩერდა და დამცინავის ღიმილით მითხრა:

— მაპატიეთ, რომ ასე უზრდელად გაგაღვიძეთ, მაგრამ სრულებით ჩემი ბრალი არ არის. თქვენ ძალიან გრძნობიერი მებელი გქონიათ·

ეხლა-კა შევამჩნიე, რომ ოთახი არეულია, სტოლის უჯრები გაღებული და დაცალიერებული და ვიტრინა გატეხილი. პატარა საწერი სტოლი empire, რომელშიაც ფულსა და საგვარეულო ძვირფას ნივთებს ვინახავდი, ხალიჩაზე ეგდო. ვიდრე მე ამას ვათვალიერებდი, ჩემი სტუმარი თავის სასიამოვნო ხმით განაგრძობდა:

— დიაღ, ეს თანამედროვე მებელი — სუსტი სულის პატრონია! მე მგონი იმისთვისაც უკბენია ჩვენის საუკინის ავადმყოფობას და თქვენი მებელიც ჩვენსავით ნევრასტენიით იტანჯება.

ამ ლაპარაკის დროს ჩემი სტუმარი სასიამოვნოთ იცინოდა და უფრო დავრწმუნდი, რომ ჩემ წინ ზრდილი კაცი სდგას. ამიტომ ჩემს თავს ნება მივეცი ლაპარაში გავრეულიყავ:

— ვინა ბრძანდებით?—ვკითხე და ამავე დროს ისეთის ეჭვით აღარ ვუყურებდი, როგორც წინად.

— ღმერთო ჩემო!—დაუდევარის კილოთი მიპასუხა უცნობმა.—იმისთანა პირობებში მოუხერხებლად მიმაჩნია თავის დასეხელება... თუ ნებას მომცემთ, სხვა დროს გაგეცნობით,



სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა კრება რუსეთში.—მაჰმადიანთა დელეგატები.

ზდენილმა და მხიარულმა შეხედულობამ ამ კლუბმენისამ, უცებ დამამშვიდა. უნდა გამოვტყდე, რომ სრულებით მომზამით უმეტესად, საღღეისოდ თქვენთან შეხვედრას არ ვემზადებოდი, ეხლა კი სასტიკი ინკოგნიტო მინდა დივიცვა.



— კარგი... ნება თქვენი იყოს...—ვუპასუხე:—მაგრამ მე მაინც ვერ ამიხსნია...

— ჩემი თქვენთან ყოფნა ამ დროსა და ამ პირობებში?

— დიაღ... მე დიდად დაგიმადლებთ, თუ...

— რასაკვირველია... კვერი დამიკრა მომხიბლავმა უცნობმა. თქვენი ცნობისმოყვარეობა კანონიერია და მე მზადა ვარ დავაკმაყოფილო იგი... მაგრამ ნებასა გთხოვთ, ერთი რამ მოგახსენოთ—თქვენ, როგორცა ვხედავ, ჩემთან ბაასს აპირობთ და უკეთესი არ იქნება ხალათი გადაიცვათ... მეშინია, ვაი თუ შეგცივდეთ და დაწყევლილი ინფლუენცა შეგეყაროთ.

— ნამდვილსა ბრძანებთ! თუ წინააღმდეგი არ იქნებით მე ეხლავე გიახლებით!

— მიბრძანდით... ნუ სწუხდებით...

საპირფარეშო ოთახში შევედი, ხალათი გადავიცვი და ისევ დავბრუნდი. ჩემს სტუმარს მისგანვე არეული ოთახი დაელაგებინა.

— რადა სწუხდებით, ბატონო!—მივმართე მე,—ხვალ მსახურიც დაალაგებს აქაურობას.

ერთ სავარძელში მე ჩავჯექი, მეორეში ჩემი სტუმარი, სიგარას მოვუკიდე და მივმართე:

— მე თქვენ გისმენთ.

კლუბმენს შეეძლო ისეთი სახე გაეკეთებინა, თითქო გონებას იკრებსო—ასე იქცევა ყოველი გმირი, როცა თავის თავზე ლაპარაკობს, მაგრამ ჩემი სტუმარი პირდაპირ საქმეს შეუდგა:

— მოწყალეო ხელმწიფე, მე ქურდი ვარ, პროფესიანალური ქურდი ანუ, უკეთ რომა ვთქვათ, ამკლებ-ამწიოკებელი, თუმცა ეს სალაპარაკო აღარ არის—თქვენ თითონ კარგად ხედავთ!

— დიაღ, მართალსა ბძანებთ...

— თქვენ არ შემცდარხართ მაშ, მე ქურდი ვარ, ასეთი ხელობა მარტო მაშინ ავირჩიე, როცა დავრწმუნდი, რომ ჩვენ ახირებულ დროში ჩემი ხელობა სხვაზე პატიოსნური, კეთილშობილური და გულახდილია. ჩემი ხელობა, როგორცა ვთქვი, ქურდობაა, და ამას იმნაირადვე ვამბობ, როგორც ვიტყოდი ადვოკატისა, ლეტერატორისა, მხატვრისა და სხვათა ხელობაზე. წინად ჩემი ხელობა ითვლებოდა უპატიოსნოდ, მხოლოდ იმატომ, რომ ამ ხელობას კიდებდა ხელს ყოველი მხეცი, ავაზაკი, გაუზდელი და გაუთლელი კაცი. მე-კი იმ აზრმა გამიტაცა, რომ ქურდობა ამემაღლებინა იქამდის, რაც უფლებაც არსებითად აქვს და შემექმნა ამ ხელობისაგან პატივსაცემი, ლიბერალური პროფესია. ნუ დავხუჭავთ თვალს, ცხოვრებას პირდაპირ შევხედეთ და გულ ახდილად ვილაპარაკოთ. ერთად ერთი მისწრაფება კაცისა ქურდობაა. კარგად დაიხსომეთ, რომ კაცი ისეთ ხელობას ირჩევს, რომელიც ქურდობას უადვილებს. ერთი ბევრს იპარავს, მეორე ნაკლებს. მაგრამ ისეთი არავინ არის, რომ მეორეს არა ჰპარავდეს, თქვენ მიხვედრილი იქნებით, რა იმალება ჩვენ გარეგნულ სათნოებისა და პატიოსნების სახელით. ამიტომ საჭიროთ აღარ მიმაჩნია მაგალითები მოვიყვანო იმას დასამტკიცებლად, რაცა ვთქვი.

ამ სიტყვებმა გული მომიქონა და ერთხელ კიდევ დამიმტკიცეს, რომ კარგად მაქვს დასწავლილი კაცის ფსიხოლოგია და სოციალური მეცნიერებანი. რაღა ლაპარაკი უნდა, დაუყოვნებლივ ვუპასუხე:

— ადვილი გასაგებია.

— ამით წაქეზებულმა მოხდენილმა ქურდმა უფრო გულ ახდილად და მეგობრულად განაგრძო ლაპარაკი.

— მე მარტო ჩემს თავზე ვილაპარაკებ და ვეცდები სიტყვა არ გავაჭიანურო. ჩემი მოღვაწეობა ვაჭრობით დავიწყე... მაგრამ ის ჭუჭყიანი საქმეები, რომელიც ბედმა მარგუნა—ეშმაკობა, უსვინდისო მოტყუება, ბირჟის საქმეები, საქმის გაცურება-სრულებით არ შეეფერებოდა ჩემს გულახდილს, მორიდებულს და კეთილს ხასიათს. მაშინ ვაჭრობა გავცვალე საფინანსო მოღვაწეობაზე, თუმცა მალე შევატყე, რომ ამ საქმისთვისაც არ ვვარგოდი. საფინასნო მოღვაწეობა, თქვენც კარგათ იცით, ეხლანდელ დროში დამყარებულია იმაზე, რომ სხვის ფულით ან ნდობით ისარგებლო, გააჩაღო დიდი საქმე. ამით უფრო დიდი რიცხვი გულუბრყვილო ხალხი მიიზიდო და შენი სიმდიდრე და ბედნიერება ღარიბ ხალხის გაღატაკებაზე დაამყარო. მალე დავრწმუნდი, რომ ასეთი საქმე ეწინააღმდეგება ჩემს წმინდათა წმინდას, და ფინანსები მივატოვე. დარჩა ჟურნალ-გაზეთები თანამშრომლობა. ერთ თვეს ვიმუშავე და დავრწმუნდი, რომ ამ საქმით თავის დარჩენა შეუძლებელია, თუ შანტაჟს არ მიმართე. დღე ერთია და ჭუჭყიანი და გაიძვერა ხალხთან შეხვედრა ათასი. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეხლა გაზეთების გამომცემელნი და რედაქტორები ან გაკოტრებული ვაჭრები არიან ან ჩირქ მოცხებული ფინანსისტები, რომელნიც გაზეთს იმიტომ ჰკიდებენ ხელს, რომ სასჯელი თავიდან აიცილონ. შემდეგ ამისა ჩემი ძალღონე პოლიტიკაში ვცადე.

— მე ჩემდა უნებურად გადავიხარხარე.

— ხომ ხედავთ,—სთქვა უცნობმა,—ამაზე არც-კი ღირს ლაპარაკი... ამის შემდეგ აზრად მომივიდა მაღალ საზოგადოებაში დამეწყო სიარული. უსახური, როგორც ხედავთ, არა ვარ, ბუნებამ არ დამაკლო არც ჯანი, არც ჭკუა და არც სანდომიანობა. ამისთანა პირობებში ძნელი აღარ იყო ჩავწერილიყავ პარიზის საუკეთესო კლუბში, ჩემმა სვინდისიანობამ და მორიდებულმა ხასიათმა აქაც შემიშალა ხელი—ქურდობა ქაღალდის თამაშობაში, ახალგაზდა საყვარლის შენახვა და ხანში შესულ ქალების ხარჯზე ცხოვრება, თანა სდევს ასეთს ცხო-

ვრების კაცს. და აბა თქვენ თითონ დაფიქრდით—შემეძლო თუ არა ამეტანა? მოკლეთ რომ ვსთქვათ, მე გამოვცადე ყველა ის პატიოსანი და კეთილ შობილური საქმეები, რომელიც საზოგადო და კერძო ცხოვრებას შეუძლიან მიანიჭოს ისეთ ჭკვიანს, მორიდებულს და მშრომელს ყმაწვილ კაცს, როგორც მე ვარ. დავრწმუნდი, რომ ქურდობა, რა სახელიც უნდა დაარქვა, ერთად-ერთი მიზანია ყოველ მოღვაწეობისა. მაგრამ ეს ქურდობა ჩვეულებრივად გადასხვაფერებული და ჩუმია და ამიტომ უფრო საშიშიცა. აქედან ასეთი დასკვნა გამოვიყვანე: რადგან კაცი ვერ წაუვა წესებრივ კანონს—ქურდობას, უმჯობესია პირდაპირ მას მიჰყოს ხელი. სრულებით საჭირო არ არის, რომ კაცმა თავისი სურვილი სხვის ქონების მითვისებისა ახსნას მაღალ ფარდებიანის სიტყვებით და გამოგონებულის სათნოებით, მით უმეტესად ეს სიტყვები აღარავის სჯერა. აი, აქედან დაწყებული ყოველ დღე ვქურდობ, ღამ-ღამობით შევდივარ მდიდარ სახლებში და ჩემ მოთხოვნილებათა დამკმაყოფილებლად და პიროვნების განსავითარებლად მიმაქვს, რასაც საჭიროდ დავინახამ. ამ საქმეს დღეში ვანდომებ რამდენსამე საათს, ხშირად კლუბიდან საქურდლად მივდივარ და აქედან რომელსამე ბალზე, ისე რომ ჩემი ცხოვრება არაფრით არ განსხვავდება სხვათა ცხოვრებისაგან. საუკეთესო კლუბის წევრად ვითვლები და მიღებული ვარ უმაღლეს საზოგადოებაში. მინისტრმა ორდენითაც კი დამაჯილდოვა. მოკლედ რომ ვსთქვათ, მე პირახდილად და გაბედულად ჩავდივარ იმას, რასაც სხვა ჩუმად და ფარულად იზამდა. იმათი საქციელი უსვინიდისოა, იმიტომ რომ... რაღა ბევრი გავაგძელო, ჩემი აღსარება გათავდა! სვინიდისი მე არაფერს არ მაყვედრის... მე ერთი ვარ, რომელიც თამამად აკეთებს იმას, რასაც ფიქრობს, და ამ ნაირად ჩემი ბუნება დავუმორჩილე ცხოვრების მოთხოვნილებას.

სანთლის შუქი დაკრთა, დღის სინათლემ შემოაშუქა ფარდებში. ჩემს მოხდენილ უცნობს საუზმე შევთავაზე, მაგრამ არ ინება—ფრაკში გამოწყობილი ვარ და მოუხერხებლად მიმაჩნიაო.

ქ. უ.

# საშინელი „ვაჭარი“

მეზღვაურთა ცხოვრებიდან

„ვაჭარს“ მეზღვაურნი სავაჭრო გემს ანუ ხომალდს ეძახიან, რომლითაც საქონელი გადააქვთ.

ერთ ზაფხულზე 1905 წელს ერთი ამგვარი „ვაჭართაგანი“ ინგლისის გემი „კვინ მაბი“ თავის შორს გზაზე მიდიოდა ერთ ერთ აღმოსავლეთ აზიის ნავთ-სადგურიდან ევროპისაკენ. ამ გემის დავთრებში აღნიშნული იყო, რომ იგი მიემგზავრებოდა ჰოლანდიისაკენ, ამსტერდამში, და მიჰქონდა მიწის სასუქი ძვალეულობა.

„კვინ მაბი“ ძველი გემი იყო, დიდი ხანია აღარ უნდა ეხმარნათ და დაესვენებინათ, მაგრამ პატრონებს უნდოდათ ბოლომდე ესარგებლნათ და ამიტომ მიჰყავ-მოჰყავდათ. მაგრამ რადგან საიმედო არ იყო, რომ სი არულს კიდევ აიტანდა ზღვაზე, ამისთვის უმეტეს შემთხვევაში ისეთის საქონლით დატვირთავდნენ, რაც იაფი იყო.

„კვინ მაბ“-ზე კაპიტნად იყო მოხუცი ზღვის მგელი მისტერ ტომსონი, ცხელ ქვეყნების მხურვალე მზისაგან დამწვარი და ცივ ყინულის ზღვის სუსხში გამობრძნმედილი,—კაცი, ბევრის მნახველი და უშიშარი. ტომსონს თავის სიცოცხლის უმეტესი ნაწილი ზღვაზე გაეტარებინა. მართალია შინ ინგლისში ოჯახობა ჰყავდა, მაგრამ ძვირად ნახულობდა, ცოლი და შვილებიც შეეჩვივნენ იმ აზრს, რომ მამა ამ ოჯახისა მუდამ ზღვაზე მოგზაურობდა.

ტომსონი თავ-დაჭერილი, გულ-გრილი ინგლისელი იყო, რომელსაც ვერაფრით ვერ გააკვირვებდი, რომელიც ყოველთვის და ყოველ მდგომარეობიდან მოახერხებდა თავის დაღწევას. თავის საკაპიტნო ხიდზე ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში, და ჩიბუხს რომ სწევდა ხოლმე სიცივესა და სიცხეში გულის-პირ შეკრული ადამიანს კი არა ჰგავდა თავისი ვნებათა ღელვით, ნაკლულევანებებითა და სურვილებით, თითქო ამ გემის ერთი უსულო ნაწილთაგანიაო. იგი ერთგვარად გულ-გრილად მოგზაურობდა როგორც მოქურუშებულ ყინულის ზღვასა, ისე ჩინეთის მრისხანე ზღვასა და ხმელეთ შუა ზღვის ლაჟვარდოვან ზედაპირზე.

ბეჯითს, მუყიათს, თავის საქმის სწორედ შემსრულებელს, სასტიკ მორჩილებაში ჰყავდა თავის ხელქვეითნი მეზღვაურნი; არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი და არასოდეს თავის ბრძანებას არ იმეორებდა. როგორც ძველი, გამოცდილი მეზღვაური ცნობილი იყო გემის მეპატრონეთა შორის და მეზღვაურთა ნდობაც ჰქონდა დამსახურებული. მართალია, სიყვარულით კი არ უყვარდათ რადგან ძლიერ სასტიკი და მასთან შეხედულობითაც მიუკარებელი იყო, მაგრამ, როცა იმის ხელქვეით ყოფნა მოუხდებოდათ, ყოველთვის კმაყოფილნი იყვნენ, რადგან ხელმძღვანელად ეყოლებოდათ ასეთი გამოცდილი და დინჯი კაპიტანი. ტომსონმა მშვიდობიანად მიჰზიდა იაპონიაში სამხედრო გამო-



სადეგი საჩქარო ტვირთი, და მშვიდობით გადარჩა რუსის გემების შეხვედრას. მუდმივ დამარცხების წყალობით რუსებს

იმას თავი აღარა ჰქონდათ, რომ სხვისი გემებისთვის ეთვალთვალნათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ტომსონის მოგზაურობა უხიფათო არ იყო. და სწორეთ იმიტომაც გაგზავნეს, რომ „კვინ მაბ“-ისთანა ძველი გემი, თუნდაც სხვის დავლად გამხდარიყო, არ დაენანებოდათ. მიუხედავათ ამისა მისტერ ტომსონმა ტვირთი რომ დანიშნულებისამებრ ჩააბარა, კმაყოფილი დარჩა, რადგან გაბრუნებისას აკრძალული საქონელი არ ექნებოდა წასაღები.

თუმცა ის საქონელი, რომელიც ჰოლანდიაში უნდა წაეღო, ისეთი რამ იყო, რამაც არა თუ ტომსონს შეაკვრევინა კოპები, მეზღვაურთა უმეტეს ნაწილმა უკმაყოფილება განაცხადა; ბევრი მათგანი ხმელეთზე გადადიოდა, არ უნდოდათ ასეთ ტვირთს გაჰყოლოდა. ამიტომაც საჭირო შეიქნა რამდენიმე მეზღვაური დაექირავებინათ ჩინეთისა და იაპონიის ნავთ-სადგურებში, სადაც თავისუფალ მეზღვაურთა რიცხვი ყოველთვის ბევრია. სხვა გზა არ იყო! მეზღვაურები საზოგადოთ ცრუ მორწმუნენი არიან და ამ შემთხვევაში ჯიუტობა და უკმაყოფილება ადვილი გასაგები იყო. ტომსონს მინდობილი ჰქონდა, არც მეტი, არც ნაკლები, რომ კვანტუნის ნახევარ კუნძულის ერთ-ერთ ნავთ სადგურში დაეტვირთნა გემი ადამიანთა ძვლებით, ახალი ძვლებით...

ამ ძვლებს, სისხლით მორწყულ მანჯურიის ველზე მოკრებილთ, ჰოლანდიის ველი უნდა გაეპოხირებინათ. ნამკალი სასტიკის ომისა უნდა მოხმარებოდა ჰოლანდიელ მუშაკის ბარაქიან სამკალს, საშიშარ მანჯურიიდან ცხრა მთას იქით, მანჯურიიდან, სადაც ძვლათ დაცვინდა ათი ათასი რუსი და იაპონელი მიწის მუშაკი, ძმის საკლავ ომისათვის მოშორებული მშვიდობიან შრომას.

მისტერ ტომსონი თვითონ არასოდეს არ იმეორებდა ბრძანებას და, რასაკვირველია, არც შეეძლო წარმოედგინა, რომ იმას განუმეორებდა ვინმე ბრძანებას. ამიტომაც თავისი გემი დანიშნულ ადგილისაკენ მიჰმართა, ჩაიბარა საშინელი ტვირთი და მერე თავისი მეზღვაურებისა და თავისი თავი „კვინ მაბ“-სთან ერთად სტიქიონს მიანდო. ჩვეულებრივად სასტიკი და აუჩქარებელი ტომსონი ამ ჟამად კიდევ უფრო სასტიკათ გამოიყურებოდა, კიდევ უფრო განუწყვეტლად სწუწნიდა თავის ჩიბუხს და ამით ჰხატავდა იმ უკმაყოფილებას, რომელიც ამ მძიმე მინდობილებით მისდგომოდა მოხუც კაპიტანს.

**განდეგილი.**

(დასასრული იქნება)




რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.

ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372